ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 16 ივნისი № 1496

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის საჭიროებაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

ქართული წარმოდგენა

ტფილისის საზაფხულო კლუბში

შაბათს, 16 ივნისს, 1901 წ.

ქართული თეატრის არტისტებმა: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელისა, ბ.ბ. გ. აბაშიძე, გ. მესხი და ვ. გუნია.

გამართავენ პირველ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქმნება

I

ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ

კომედია 2 მოქ. თავ. რ. ერისთავისა.

II

მოქეიფე

ვოდევილი 1 მოქ. ალ. ჭიჭინაძისა.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწდომია—**ექვს შაურიდან** მოყოლებული **მანათნახევრამდე.** კლუბის არა წევრნი ბაღში შესვლისათვის იხდიან 50 კაპ.

დასაწყისი 9 საათზე.

ბილეთები იყიდება სათავად-აზნაურო თეატრში, ხოლო წარმოდგენის საღამოს კლუბის ბაღში. (3—3)

ტფილისის კერძო

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

გ. ი. ზიზინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრობით—9—10 ს.

ნ. ა. მუდინი—ყურისა, ყელის და ცხვირისა—11—12 საათამდე.

ი. შ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ქიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. გ. ფეოდოროვი შინაგანი და საბავშვო—1 სათ. 2-მდე.

გ. დ. მარკევიჩი—სადასტაქრო— $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე, საშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეკთაბეგოვი—სიფილისის, კანისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით—10—12 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

14 ივნისს.

ვენა. გრაფი ჰოჰენვორტ ჰერლახშტეინი, ტანჟერის უმთავრესი კონსული, დაინიშნა ავსტრ-უნგრეთის ელჩად მექსიკაში. საელჩოს წევრი გრაფი კენნევილ პუტე დაინიშნა ტანჟერის უმთავრეს კონსულად.

პარიზი. გრაფი ლიურ-სალიუსი ბრიუსსელში წავიდა.

პარიზისა და ბერლინის შუა დაიწყო მუშაობა თვითმოძრავ ეტლებისა.

ვაშინგტონი. იტალიის მთავრობამ შეატყობინა ამერიკის მთავრობას, რომ იტალია არავითარ პრემიას არ აძლევს შაქრის გამზიდველთ.

მადრიდი. ოპორტოში შავი ჭირი გაჩნდა. ავად გახდა 12 კაცი, რომელთაგან 4 გარდაიცვალა.

ლონდონი. შეერთებულ კლუბის წლიურ ნადიმზე თავმჯდომარემ სალისბიურიმ წარმოსთქვა: „უნიონისტებმა დაამძლურეს ოპოზიცია და შეასუსტეს პარტიების უწინდელი წესიერი მოქმედება“. სალიუსბიურის არ მოსწონს საქმეთა ეხლანდელი ვითარება; მას ურჩევნია პარტიების უწინდელი მოღვაწეობა და ურთიერთობა.

<სტანდარტ>-ს შანჰაიდან ატყობინებენ, რომ ხმა არისო, ვითომც პრინცი ტაუნი რამდენიმე ათას ცხენოსანით პეკინზე მიდისო. ტუნფუსიანი წყნარად იმყოფება კუოეჯინში და არ აპირებს შეუერთდეს ტუანს.

ლონდონი. რიჩმონდიდან (კაპის ახალშენშია) იტყობინებიან, რომ ბურების დიდი რაზმი, მალანისა და სმიტის წინამძღოლობით, 13 ივნისს დილას თავს დაესხა რიჩმონდს; ბრძოლამ საღამომდე გასტანა ბურებმა უკან დაიწიეს, როდესაც გაიგეს, რომ რიჩმონდისაკენ მოდის ენდსის რაზმიო; უკანასკნელი მივიდა რიჩმონდში 14 ივნისს, დილით.

ლეიპციგი. გადაწყდა დაარსდეს კონკურსი ლეიპციგის ბანკის საქმეებზე; დახლოვებით გამოანგარიშებულია, რომ ბანკს 92 მილიონის მოვალეობა აქვს და $159\frac{1}{2}$ მილიონის აქტივი.

ოდესსა. გუშინ ტიბეტის საგანგებო დესპანებმა დაათვალიერეს ქალაქის საუკეთესო შენობები და მუზეუმი. დესპანების უფროსი, როდესაც ხელს აწერდა საპატიო სტუმრების წიგნს, დაჰპირდა, რომ ტიბეტში დაბრუნების შემდეგ, გამოუგზავნის მუზეუმს და ქალაქის ბიბლიოთეკას სხვა-და-სხვა საგნებს და წიგნებს. საღამოს დესპანებმა დაათვალიერეს „მალი ფონტანი“, რომელიც ლამაზად მორთული იყო დროშებითა და ყვავილებით. ზღვის პირზე, პატარა მოედანზე, დესპანებს მიართვეს ჩაი. დღეს დესპანები ინახულებენ წყლის მილის სადგურს, სადაც ქალაქი გაუმართავს მათ საუზმეს. დესპანები ძალიან კმაყოფილნი არიან ოდესაში მეგობრულ მიღებით.

ჰელსინგფორსი. ჰელსინგფორსიდან მომავალი სახალხო მატარებელი ნაშუადღევის $3\frac{1}{2}$ საათზე, სადგურებ კორპისა და ოტალანგის შუა, დაეჯახა განგებდან მომავალ საქონლის მატარებელს. დაზიანდა ლოკომოტივი, ბარგისა და მოსამსახურეების ვაგონები, დაიმსხვრა საქონლის ორი ვაგონი და კედელი შეეხნიქა მეორე კლასის ვაგონს; დაჭრილია მაშინისტი და ცეცხლის შემკეთებელი.

პეტერბურგი. დღეს გერმანელთა სამხე-

ფელეტონი

ჭრელი ძროხა

(ამბავი პოლ ბლისისა)

კომერციის სოვეტნიკის ბ. რებუროს დაბადების დღე იყო და მხატვარი ვოლფრამი დიდ გაჭირვებაში იყო: არ იცოდა, რა მიერთმია საჩუქრად ბ. რებურისათვის. მართალია, მისგან არავინ მოელოდა საჩუქარს, რადგან ყველამ იცის, რომ ახალგაზდა მხატვარს ფული ყოველთვის უჭირს; მაგრამ ვოლფრამს მაინც მოვალედ მიაჩნდა თავის-თავი რამე მიეტანა სოვეტნიკისათვის: მთელი წელიწადია იცნობდა იგი რებურის ოჯახს და მას ყოველთვის პატიჟობდნენ. გარდა ამისა, სოვეტნიკს მისთვის ბევრი სამსახური გაუწევია, ხანდახან დიდი სამსახურიც. ამიტომაც იყო, რომ ვოლფრამს უნდოდა რითიმე ესიამოვნებია ბ. რებური.

მაგრამ როგორ? საჩუქარი ძვირფასი არ უნდა იქმნეს; კიდევ უკეთესი, თუ იგი ფული სულ არ ეღირება. ბევრი იფიქრა ჩვენმა მხატვარმა, მაგრამ ვერა მოიფიქრარა. გადაარჩია ყველა თავისი ნახატები, რომელიც კი არ გაეყიდა, და ბოლოს სულ ქვეშ ნახა ერთი ტილო—ის იყო ერთი უკეთესთაგანი მის ნახატებში: ამწვანებულ ველზე ბალახს სძოვდა ჭრელი ძროხა, რომელიც ცხადად სჩანდა მტრედის ფერ ცის ფონზე; მხატვარმა დაარქვა მას „ჭრელა“. ეს სურათი მან გამოაფინა ერთის წლის წინად და იგი ყველას მოეწონა, მაგრამ, რაღაც მიზეზის გამო, არავის უყიდნია და მას შემდეგ ეგდო ატოლიეში მიყრილ-მოყრილ ნივთებ შუა. ვოლფრამმა გადასწყვიტა მიეტანა ეს თავის უსაყვარლესი ნაწარმოების ბ. რებურისათვის. მან იგი სიფრხილით და დიდის ყურადღებით დაასუფთავა, ჩაჯდა ეტლში და წავიდა თავის კეთილისმყოფელთან.

ბ. რებურს მეტად ეუცა მოულოდნელ საჩუქრის დანახვა, მაგრამ მაინც ღიმილით მიიღო იგი, გაუწვდინა ხელი მხატვარს და უთხრა: „სასიამოვნოა, ძვირფასო ვოლფრამ, მეტად სასიამოვნო. გმადლობთ მოგონებისათვის“.

მაგრამ, როცა ცოლ-ქმარი მარტო დარჩა, სოვეტნიკმა უთხრა თვის ცოლს:

— აბა, გინახავს რამე ამის მზგავსი? მე და ძროხის ჩუქება, გაგონილა? საქონლის ვაჭარი ხომ არა ვარ?

ცოლმა მხრები აიჩეჩა და წაილაპარაკა:

— სხვენზე აატანინე.

— მაშ აბა კედელზე დავკიდებ?!—სურათი იქვე კუთხეში მიაგდო და დაუწყო თვალიერება სხვა უფრო ძვირფას საჩუქრებს.

საღამოს მხატვარი ისევ მოვიდა და გული ეტკინა, რომ თავისი ნაწარმოები კედელზე ვერ დაინახა.

სამაგიეროდ დიასახლისი მივიდა მასთან და გესლიანის ღიმილით უთხრა:

— თქვენ არა ჩვეულებრივი ნიჭი გაქვთ: მშვენივრად ხატავთ საქონელს. რატომ არ დაიწყებთ საყასბოებისა და ხორცის დუქნების განცხადებების ხატვას?

— დიდათ გმადლობთ,—უპასუხა მოსწრებულმა მხატვარმა,—მე ვხედავ, რომ ამ მხრივ თქვენ შეუცდომელი მსაჯული ხართ.

სოვეტნიკის ცოლმა ეს იწყინა და უპასუხოდ მოშორდა მხატვარს.

ამ დღიდან ვოლფრამი აღარ დადიოდა რებურებისას.

სამი თვის შემდეგ ხელოვნებათა აკადემიის პროფესორის ფონ-შპერინგის დაბადების დღე იყო.

რებური კარგად იცნობდა შპერინგს და ამიტომ გადასწყვიტა საჩუქარი წაეღო მისთვის. ჩამოატანინა სხვენიდან „ჭრელა“, მოსწმინდა მტვერი, გაახვია და გაუგზავნა პროფესორს.

— მადლობა ღმერთს, თავიდან მოვიშორეთ ეს ნაჯღაბნი,—სთქვა სოვეტნიკის ცოლმა,—არ შეიძლებოდა ამ ნახატისათვის ფეხი არ წამომეკრა.

ქმარი კი მხიარულად იღიმებოდა, რადგან საჩუქარი ერთი გროში არ დაჯდომია.

როცა პროფესორმა დაინახა მეგობრისაგან გამოგზავნილი სურათი, ისეთი ბრაზი მოერია რომ მისიანები შეშინდნენ.

— ეგრე ნუ ილანძღები,—აჩერებდა მას ცოლი.

— ეშმაკმა იცის მისი თავი,—ბურდღუნებდა მოხუცი პროფესორი,—როგორ გაბედა იმ გამოტვინებულმა ამგვარ სურათის ჩემთვის გამოგზავნა. პროფესორი შეურიგებელი მტერი იყო ეგრედ წოდებულ ახალ სკოლისა.

— იმ გამოტვინებულმა ხომ კარგად იცის, რომ მე დასანახადაც მეჯავრება ეს ახალმოდური ჯღაბნა; მისგან ეს პირდაპირ შეურაცხყოფაა.

გთხოვთ ამიერიდან არავითარი დამოკიდებულება არ იქონიოთ რებურების ოჯახთან; ეხლა კი მომაშორეთ ეს სისაძაგლე და მეტად ნუ დამანახვებთ მას.

და საბრალო „ჭრელა“ ისევ ბნელი სხვენისაკენ გაემგზავრა.

დადგა ზამთარი. დაიწყო საქველ-მოქმედო ბაზრები, მხატვრებს მოსვენებას არ აძლევდნენ: სთხოვდნენ მათ ნაწარმოებს.

სხვათა შორის, პროფესორსაც მიჰმართეს ამგვარის თხოვნით „ქალთა წრის“ ბაზრის სასარგებლოდ.

მოხუცმა, თუმცა უსიამოვნოდ, მაგრამ მაინც გაგზავნა ბაზარზე ორი ესკიზი. მისმა ცოლმა კი ისარგებლა შემთხვევით და ქმრის შეუტყობინებლად გაგზავნა იქვე ბედ-უბედური „ჭრელა“.

ორის კვირის შემდეგ ეს სურათი გამოკიდებული იყო ბაზარზე, რომელიც გამართეს მიწად-მოქმედების სამინისტროში.

რჩეული საზოგადოება დადიოდა ბაზარზე; აქვე იყვნენ, რასაკვირველია, რებურებიც.

როცა სოვეტნიკის ცოლმა ნაცნობი „ჭრელა“ დაინახა, ქმარს ხელი წაჰკრა და სურათზე მიუთითა.

დრო დეპუტაცია, გენერალ გრაფ მოლტკეს მეთაურობით, ესტუმრა პრეობრაჟენსკი პოლკს კრასნოე სელოში.

(სადამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. გაზეთს «როსსია»-ს სწერენ ლონდონიდან: «კონსერვატორების გაზეთები ცხადის სიხარულით ლაპარაკობენ იმ განხეთქილებაზე, რომელიც ლიბერალების ბანაკში მოხდა და აღტაცებით ეგებებიან იმ ლიბერალ-იმპერიალისტებს, რომლებიც პარტიის წინამძღოლს კემპბელ-ბანერმანს გადაუდგნენ. ლიბერალებს სწადიათ, რომ წინამძღოლად როზბერი აირჩიონ.

გუშინ მთავრობის მომხრე გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, ვითომ გენერალმა ბოტამ მორჩილება გამოაცხადაო, მაგრამ ეს ხმა, ჩვეულებრივ, არ გამართლდა.

✿ გაზეთებში საინტერესო ცნობებია მოყვანილი კიდევ იმ კრების შესახებ, რომელიც ამას წინად ბურების მეგობარმა ინგლისელებმა ლონდონში გამართეს: «კრებას, სხვათა შორის, პარლამენტის წევრები ლაბუშერი, დილონი, ლოუსონი, კეირ-გარდი, ვილსონი, ლლოიდ ჯორჯი და სხვანი დაესწრნენ. თავჯდომარედ ლაბუშერი აირჩიეს; როცა ეს განთქმული დეპუტატი თავის ადგილზე ავიდა, საზოგადოება აღტაცებით და ძლიერი ტაშის ცემით მიეგება. ლაბუშერმა თავის სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა, რომ ზავისა და ბურების მეგობრები კი არა, თითონ ეხლანდელი მინისტრები არიან ნამდვილი მოღალატეებიო, რადგანაც ამ პირებმა ტალახში ამოსვარეს ინგლისის დიდებული სახელიო. ამის შემდეგ კაპის ახალშენის მინისტრად ნამყოფმა ზაუერმა ილაპარაკა. ზაუერი ამტკიცებდა, რომ ომი ბურებმა კი არა, თვით ლორდ სოლსბერისა და ჩემბერლენის სამინისტრომ გამოიწვიაო; ინგლისის მთავრობა ამ ომისათვის ჯემსონის თავს დასხმის შემდეგ ემზადებოდაო. ბურებს მხოლოდ ზავი ეწადათ, — ეხლა კი საქმე ისე წავიდა, რომ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ბოლომდე უნდა განაგრძონ. ბურებს ვერ შეაშინებს ის გარემოება, რომ ინგლისელებს ბევრად მეტი ჯარი ჰყავთ და შეუდარებლად მეტი შეძლება აქვთ. ეს სიტყვები მთელმა კრებამ დიდის აღტაცებით მიიღო და ისეთი ძლიერი ტაშის ცემა ასტეხა, რომ ორატორს თითქმის სიტყვა გააწყვეტინა. ზაუერის შემდეგ ლლოიდ-ჯორჯი ავიდა სალაპარაკოდ. ამისი წინადადებით კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: «ლონდონის მოქალაქეთა სახელით, კრება ჰგმობს სამხრეთ-აფრიკის ომსა და თხოულობს, რომ ორივე რესპუბლიკების მოქალაქეებს ისეთი ზავის პირობები მიეცეს, რომლების ძალითაც ბურებს სრული დამოუკიდებლობა უნდა შერჩესთ; შემდეგ ირლანდიელი დილლონის წინადადებით კრებამ მეორე რეზოლუციაც დაადგინა. ამ რეზოლუციაში კრება თავის გულის წყრომას აცხადებს მთავრობის უდიერი ქცევის თაობაზე, რადგანაც მთავრობის ბძანებით ინგლისელი ჯარის კაცები ფერმებსა სწვავდნენ და ქალებსა და ბავშვებს ატყვევებდნენ. ამის შემდეგ კრება სრულიად მშვიდობიანად და წესიერად დაიშალა. შოვინისტური პრესსა ამ კრებას «კომედიადა» სთვლის და მთავრობას ჰლანძღავს, რად აძლევ ნებას, რომ სამშობლოს მოღალატეებმა ამისთანა კრება მოახდინონო.»

✿ ინგლისის ლიბერალების წრეები მეტად გახარებულები არიან: ამ მოკლე ხანში ლონდონში კანადის პარლამენტის წევრი, დეპუტატი ფრანკი ანრი ბურასსა უნდა მოვიდეს. «პარი ნუველ»-ის კორესპონდენტი სწერს, რომ ყველა ლიბერალური გაზეთები და ნამეტნავად «დეალი ნიუს»-ი ქებით იხსენიებენ ბურასსას მიერ კანადას პარლამენტში ნათქვამ სიტყვებსაო; და თითონ ეს სიტყვებიც მოყვანილია გაზეთებში: ბურასსა მეტად მკაცრად ჰკიცხავს მთავრობას ბურებთან ომისათვის და საზოგადოდ იმპერიალისტური პოლიტიკისათვის. როცა ბურასსა ლონდონში მოვა, მის პატივსაცემლად ლიბერალები რამდენსამე მანიფესტაციას გამართავენ.

✿ როგორც ეტყობა, მთავრობა არ შეასრულებს თავის დაპირებას და საშუალო სკოლის რეფორმის კანონს ეხლანდელ სესსიაში არ დაამტკიცებინებს პარლამენტს. «სტანდარდ»-ის სიტყვით, იმ წინააღმდეგობის გამო, რომელიც ამ კანონს ყველა მხრიდან ემუქრის, მეტად ძნელი იქნება, რომ ეს კანონი მიმდინარე სესსიაშივე დამტკიცდეს. ამიტომ მინისტრების საბჭოს პირველ სხდომაზევე მსჯელობა ექნება იმის შესახებ, რომ ჯერ-ჯერობით მხოლოდ დროებითი ღონისძიება მიიღონ, თუ უმთავრესი კანონ-პროექტი კი შემოდგომის სესსიამდე გადასდონ. მეორეს მხრით, «მანჩესტერ გარდიან»-ის ლონდონელი კორესპონდენტი პირდაპირ აცხადებს, რომ საშუალო სკოლის რეფორმის კანონი სამუდამოდ დაამთავრა მთავრობამაო.

ლონდონი. კიტჩენერმა დეპეშით სთხოვა სამხედრო მინისტრს, გაანთავისუფლონ იგი მთავარ-სარდლობის თანამდებობისაგან, რადგან შეუძლებელია ბურებთან ომის გაგრძელებაო.

საფრანგეთი. «მატენ»-ი უარ-ჰყოფს იმ ცნობას, ვითომ იმპერატორი ვილჰელმი, რომელსაც განზრახვა აქვს ჩინეთიდან მომავალ გერმანიის ჯარის მისაგებებლად წავიდეს, გზა და გზა მერბურგში შეივლის და იქ პრეზიდენტ ლუბეს შეხვდებაო.

✿ 6 ივნისს სოციალისტებმა კრება მოახდინეს იმ აზრით, რომ პროტესტი გამოეცხადებინათ დისციპლინარულ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომლებიც საერო განათლების მინისტრმა ლეიგმა ზოგიერთ უნივერსიტეტის პროფესორების წინააღმდეგ მიიღო. ამ პროფესორებს ანტიპატრიოტული სიტყვები წარმოუთქვამთ ვითომ. მეორე დღეს გაზეთებმა ოფიციალური ცნობა გამოაცხადეს, რომ საერო განათლების მინისტრმა გააუქმა ხსენებული სასჯელებიო.

✿ ამას წინად მონლიუსონის სასამართლო სახელმწიფოს ღალატის საქმის გარჩევას შეუდგა. ბრალდებული სამია: ფოლადის ჩამომსხმელი სახელმწიფო ქარხნის (ქალ. კომმანტრიში) ოსტატი ჟივოტიე, რომელსაც ბრალსა სდებენ, რომ გერმანელ მექარხნეს კრუპპს ხსენებული ქარხნის საიდუმლოება გაუმჟღავნაო, და ორი მუშა, დეზარმენიენი და მარანდონი, რომლებსაც ამ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდებათ.

✿ წარსულ ოთხშაბათს, განსვენებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ფელიქს ფორის გვამი საგვარეულო სამარხიდან («პერ ლაშეზის» სასაფლაოზე) ამოიღეს და სხვა უფრო მდიდრულ სამარხში იმავე სასაფლაოზე დიდებულად დაასაფლავეს. დასაფლავებას რესპუბლიკის პრეზიდენტი, პალატისა და სენატის თავჯდომარეები, ბევრი პოლიტიკური მოღვაწე, გენერლები და მრავალი სხვა გამოჩენილი პირები დაესწრნენ.

გერმანია. «ჟურნალ დე დება» ამნაირად ასურათებს გერმანიის საახალშენო პოლიტიკას:

«ამერიკისა და გერმანიის გაზეთებს შუა პოლემიკა ასტყდა. პირველი შეხედვით თითქო უცნაურად გეჩვენება კაცს ეს პოლემიკა. გერმანიას დიდ ბრალსა სდებენ, ვითომ ბრაზილიის ნაწილის დაჭერა უნდოდესო. იმას არ სჯერდება, რომ ეს ქვეყანა თავისი ემიგრანტებით გაავსო და უნდა, რომ მისი მრეწველობა და ვაჭრობაც ხელში ჩაიგდოსო. გერმანიის პოლიტიკის საიდუმლო მისწრაფებას რაც შეეხება, უნდა ვსთქვათ, რომ ყოველი შიში მეტად ახირებულად მიგვაჩნია, თუმცა კი უნდა აღვიაროთ, რომ გერმანია, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ იქცევა. ყველამ იცის, რომ გერმანია გვიან შეუდგა ახალშენების შეძენას, იმ დროს მოაგონდა ეს საქმე, როცა თავისუფალი ადგილები აღარსად იყო. ამიტომ გერმანელი ემიგრანტები ძალა-უნებურად სხვა სახელმწიფოების ადგილებში უნდა დასახლებულიყვნენ. პირველად შეერთებულ შტატებში დაიწყეს წასვლა. აქ გერმანელები თავიანთ მონათესავე ანგლო-საქსის ტომს ჰხვდებოდნენ და სულ მოკლე ხანში ჰგვარდებოდნენ. სულ სხვა გამოვიდა, როცა გერმანელი ემიგრანტები სამხრეთ-აფრიკაში გაემართნენ: აქ უცხო, ლათინთა ტომის ხალხში მოჰყვნენ და თავიანთ ეროვნებას აღარ ჰკარგავდნენ; ამის გამო ემიგრანტები ერთმანეთს უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდნენ და უახლოვდებოდნენ».

✿ «ნიუ-იორკ-ჰერალდ»-იც ამავე საგნის თაობაზე ამბობს: «ვაშინგტონის პოლიტიკურ წრეებში ხმა დადის, რომ გერმანიას შემდეგი პროექტი აქვს შედგენილიო. ბრაზილია სამ ნაწილად უნდა გაიყოსო, ჩრდილოეთი ნაწილი შეერთებულს შტატებს უნდა მიეცეს, შუა ნაწილი — ინგლისს, სამხრეთი კი გერმანიამ თავისთვის დაიგულაო. გერმანელებმა მშვიდობიანად, უდავიდარაბოდ, ლამის მთელი ბრაზილია დაიპყრონ, არა თუ მარტო ვაჭრობისა და მრეწველობის მხრივ, არამედ პოლიტიკურადაც კი. ზოგიერთ პროვინციებში კვირა-უქმეობით იმდენი გერმანული დროშა გაიშლება ხოლმე, რომ კაცს ასე ეგონება, თითქო მოულოდნელად ბრაზილიის მაგივრად გერმანიაში მისულიყოს.

იტალია. «პარი ნუველ»-ის რომაელი კორესპონდენტი ამბობს, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის სიტყვა იტალიის საგარეო პოლიტიკის შესახებ არ მოეწონა იტალიის საზოგადოებასა და მეტადრე მემარცხენეთა პარტიასო. კორესპონდენტი ასე ჰხსნის ამ უკმაყოფილებას: «პრინეტის ნალაპარაკევიდან ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ იტალიას ავსტრიისა ჰშინებია და მეორეს მხრით, რომ გრაფი გოლუხოვსკი მეტად მოხერხებულად იქცევა, რათა ადრიატიკის ზღვაზე ავსტრიას ბატონობა მოუპოვოს. ელოდნენ, რომ პრინეტი ცხადად და მოურიდებლად გამოსთქვამდა თავის აზრებს ალბანიის საქმის თაობაზე, რადგანაც თითონვე ირწმუნებოდა, რომ სრულის გულ-ახდილობით ვილაპარაკებ ამ საგანზეო, მაგრამ სწორედ იმ დროს,

---

რებურმა ხელსახოცი მიიფარა პირზე, რომ სიცილი შეეკავებინა.

ეს სურათი არავის უყიდნია და ლატარიაში გაათამაშეს; იგი შეხვდა ერთ ახალგაზრდა ბუჰჰალტერს. მომგებმა არ იცოდა, რა ექნა ამ მოგებისათვის: „კედელზე ხომ ვერ ჩამოვკიდებო“ — ჰფიქრობდა იგი.

ბოლოს ერთმა მეგობარმა ურჩია სურათის გაყიდვა. ათის წუთის შემდეგ სურათი უკვე ერთ დუქანში იყო; წინ-დახედულმა ვაჭარმა მისცა გამყიდველს 20 მარკა.

— ვინ იცის, — ჰფიქრობდა იგი, — იქნებ ეს ვოლფრამ ცნობილი მხატვარი შეიქნეს. დრომდე კი სურათი შეინახა.

მას შემდეგ გავიდა ნახევარი წელიწადი. ვოლფრამის ბედი დიდად შეიცვალა. ჩვეულებრივ მხატვრიდან იგი გახდა საზოგადოების თვალში გენიოსად. მისმა უკანასკნელმა სურათმა „გმირთა“ ეპოქიდან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მისი სახელი ყველას პირზე ეკერა, ყველა მის დაპატიჟებას ცდილობდა.

სოვეტნიკ რებურისათვის მძიმე დღეები დადგა: ცოლი დღე მუდამ ერთ ამბავს უდევდა, თავის დროზედ რათ ვერ დააფასე მხატვარიო, გინდა არ გინდა, უთუოდ უნდა მოიწვიოო.

— ქალო, რას ამბობ! მოიგონე, როგორ მოვეპყარით უკანასკნელად; იგი ხომ ამას არ დაივიწყებდა.

— მას შემდეგ მთელი წელიწადი გავიდა, 12 თვეში ბევრი რისამე დავიწყება შეიძლება.

— სურათი, ის უბედური სურათი? — კვნესით მოიგონა რებურმა, — თუ მართლ ვოლფრამი მოვიდა, პირველად ხომ მას იკითხავს. მაშინ რა ვქნათ?

— თუ ეგრეა, იშოვე ის სურათი, ჩაყლაპვით ხომ არავინ ჩაყლაპავდა, იგი ვინმეს ექნება.

საბრალო სოვეტნიკი შეჰპირდა ცოლს თხოვნის ასრულებას, მაგრამ თანაც ცხადათ გრძნობდა, რომ ერთ დროს ზიზღით გადაგდებული სურათი ძვირად დაუჯდებოდა.

სოვეტნიკი ძებნას შეუდგა და, როგორც გამოცდილმა კაცმა, გონიერად წაიყვანა საქმე.

პირველად იგი მივიდა ბაზრის გამგესთან და მისგან გაიგო სურათის მომგების ვინაობა. მხიარულად გასწია მან ახალგაზრდა ბუჰხალტერთან, მაგრამ, როცა შეიტყო, რომ სურათი ვაჭარმა შეიძინა, სოვეტნიკს სახე მოეღრუბლა: მან კარგად იცოდა, რომ ეხლა სურათი იაფად არ დაუჯდებოდა.

მართლაც იგი იძულებული შეიქნა 3000 მარკა მიეცა „ჰრელია“-ში, იმ „ჰრელია“-ში, რომელიც ერთ დროს თავის სისულელით სხვას მუქთად დაუთმო.

3000 მარკა! იგი სიბრაზით ხვნეშოდა და ჰგმინავდა, როცა მოაგონდებოდა, რომ ამოდენა ფული ტყუილა-უბრალოდ გადაყარა. მაგრამ რას იზამდა. ეხლა სხვაფრივ მოქცევა არ შეეძლო: ხომ ვერ გამოტყდებოდა, რომ ვერ დააფასა ასეთის გენიოსის ნაწარმოები. ხვნეშითა და კვნესით დაუთვალა ფული ვაჭარს.

„ჰრელია“ ისევ რებურებისას დაბრუნდა, მაგრამ ეხლა იგი საუკეთესო ადგილას გამოჰკიდეს.

ამ დღეს ცოლ-ქმარი სადარბაზოდ წავიდნენ მხატვართან, რომლის სახეს ცხადად დაეტყო განცვიფრება, როცა ღირსეული წყვილი თავის სახლში დაინახა.

თითონ სოვეტნიკი ცოტათი დარცხვენილი იყო, სამაგიეროდ ცოლი კი ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს; იგი მიესალმა მხატვარს, გაუწოდა ხელი და უთხრა: „ჩემო ძვირფასო მეგობარო, რატომ აღარ გვნახულობთ? ხომ იცით, რომ თქვენ ჩვენთვის ყოველთვის ძვირფასი სტუმარი იყავით. დაგვავალეთ და დღეს სადილად გვეწვიეთ. ორი-სამი მეგობარიც გვეყოლება.»

ვოლფრამს გაეღიმა, მაგრამ, როგორც გაზრდილმა კაცმა, არ გაიხსენა ძველი ამბავი და ცოლ-ქმარს მისვლა შეჰპირდა. 3 საათზედ, როგორც უთხრეს, ვოლფრამი რებურებისას იყო და ძალიან გაუკვირდა, რომ არც ერთი სტუმარი არ სჩანდა: ცოტა ხნის შემდეგ კი მიხვდა ამ მოვლენის მიზეზს.

რებურმა ხელი ხელს გაუყარა ძვირფასს სტუმარს, წაიყვანა სასტუმრო ოთახში და მიიყვანა პირდაპირ „ჰრელიასთან.“

— ძვირფასო მეგობარო, ხომ ხედავთ, რომ თქვენი დაუფასებელი სურათი ჯერ კიდევ ჩემსას არის; ხომ საპატიო ადგილი უჭირავს მას ჩემ სახლში?.. დაასრულეთ მადლიანი საქმე — მიაწერეთ მარჯვენა კუთხეში, რომ იგი მიძღვენით მე. თქვენ ამის უარს არ მეტყვით, ჩემო კეთილო. ამას რომ ამბობდა, თან აწვდიდა მხატვარს წინდა-წონვე დამზადებულ ფერადებს და ბეწვის კალამს.

ვოლფრამმა სიცილი ვერ შეიკავა: მან იცოდა ვაჭრისაგან „ჰრელიას“ მთელი ისტორია. ყალბი თავმოყვარეობა და სიცალიერე ამ ხალხისა მას კი არ აგულისებდა, აცინებდა და ამიტომ სიტყვის შეუბრუნებლად წააწერა რამდენიმე სიტყვა სურათის კუთხეში.

ერთის საათის შემდეგ მოვიდნენ დანარჩენი სტუმრებიც. სადილი თურმე დანიშნული იყო 4 საათზედ და არა სამზე, სტუმარი, სამი-ოთხის მაგიერ ოცდა-ათი იყო უბრალო სადილი, მხატვრის პატივისცემისთვის გამართული, სადღესასწაულო ნადიმად გადაიქცა.

დიასახლისს ყოველ თავის მეგობართაგანი მიჰყავდა “ჰრელიასთან“ და მედიდურად ამბობდა: „შეხეთ, აი ეს შეუდარებელი სურათი ჩვენმა საყვარელმა მხატვარმა აჩუქა ჩემ ქმარს ერთის წლის წინად. განა ეს ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოები არ არის?“

,,მეგობრები‘‘ გულში შურით ივსებოდნენ, მაგრამ ისე კი ტკბილად იღიმებოდნენ და ალტაცებაში მოდიოდნენ სურათის სიმშვენიერით.

ამ დროიდან ეგრედ წოდებულ ,,საზოგადოებაში‘‘ გავრცელდა აზრი, რომ რებურმა პირველმა აღმოაჩინა ახალგაზრდა მხატვრის ნიჭი.

ასეა, ხან და ხან სურათსაც თავის ისტორია აქვს.

როცა ლაპარაკი სამთა კავშირზე ჩამოვარდა, მინისტრი უცებ შეშინდა და მხოლოდ ვისკონტ ვენსტას შარშანდელი სიტყვები-და გაიმეორა. პარლამენტის წრეები ელიან, რომ მომავალ ნოემბერში სამინისტრო დაემხობა და მასთან ერთად პრინეტიცა, რადგანაც კარგის შემთხვევით ვერ ისარგებლა და მემარცხენეთა პარტიის თანაგრძნობა ვერ მოიპოვა. ეს პარტია კი მეტად წინააღმდეგია სამთა კავშირის განახლებისა და არც თუ პრინეტი უყურებს თანაგრძნობით ამ კავშირს, მაგრამ თავის აზრის გულ-ახდით გამოთქმა ვერ გაჰბედა.

ახალი ამბავი

✦ ქალაქის სამოსწავლო კომისიამ დაასრულა სახელოსნო სკოლის რეფორმის პროექტის განხილვა და მალე წარუდგენს საბჭოს.

✦ მომავალ ორშაბათიდან ტფ. საბრეშუმო სადგომში დაიწყება მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსები.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭოს 11 ივნისის დადგენილებით, შესახებ 600.000 მანეთის სესხისა უკმაყოფილო დარჩნენ ტრამვაის უსახელო საზოგადოების დირექტორები და შეიტანეს კიდეც განცხადება ქალაქის გამგეობაში დადგენილების ერთის მუხლის შეცვლის გამოსწვევად, მაგრამ, როცა გამგეობამ უყურადღებოდ დასტოვა ეს განცხადება, დირექტორები დასთანხმდნენ საბჭოს 11 ივნისის დადგენილებას. მხოლოდ ითხოვეს, რომ ნაღდ ფულების პროცენტიანი ქაღალდები შეეძლოსთ ქალაქის კასაში შეიტანონ. გამგეობა თანახმაა ამ წინადადებისა, თუ, რასაკვირველია, ეს %-იანი ქაღალდები უზრუნველ ყოფილ იქმნება მთავრობისაგან.

✦ გეოგრაფიულ საზოგადოების გამგე კომიტეტის 11 ივნისის სხდომაზე გადაუწყვეტიათ გამოსცენ ბატონიშვილის გახუშტის „საქართველოს აღწერა“. გადათარგმნა ამ საინტერესო თხზულებისა მიანდეს მ. ჯანაშვილს, რომელმაც უნდა გადმოთარგმნოს ავტორის ავტოგრაფისაგან, რომელიც ინახება მეცნიერებათა აკადემიაში პეტერბურგში.

✦ გარდაცვალებულის გენ. ად. ლევან ივანეს-ძე მელიქიშვილის ქვრივსა და მემკვიდრეებს შუამდგომლობა აღუძრავთ ფინანსთა სამინისტროს წინაშე. „დევანის ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის“ დამტკიცების შესახებ. ამხანაგობის ძირითადი თანხა უნდა იქნეს 4.200.000 მ., რომელიც გაყოფილია 16.800 პაიდ. თითო პაი ღირს 250 მ. ამხანაგობის საქმეებს განაგებს გამგეობა, რომელიც ტფილისში იქნება და შესდგება აქციონერთაგან არჩეულ 5 დირექტორისაგან.

✦ ბუნებისმეტყველებისა, ანტროპოლოგისა და ეტნოგრაფიის მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოებას მოუსურვებია ჩვენის ხალხის სხვა-და-სხვა სასიმღერო ხმების შეკრებვა. ამ დღეები მოსკოვიდან ქალაქში ჩამოვიდა ამ საზოგადოების წევრი-თანამშრომელი დიმიტრი ევნატეს ძე არაყიშვილი (არაკჩეევი), რომელსაც დავალებული აქვს საზოგადოებისაგან ქართული სასიმღერო ხმები გადაიღოს ფონოგრაფზე.

ბ-ნს არაყიშვილს განზრახვა აქვს ჯერ ქართლი მოიაროს ამ განზრახვით და შემდეგ კახეთში გაემგზავროს.

ბ-ნი არაყიშვილი კავკაველი ქართველია. სამუსიკო სწავლა წელს დაუმთავრებია მოსკოვის ფილარმონიის საზოგადოების სასწავლებელში.

იმედია, ჩვენი საზოგადოება ხელს შეუწყობს ახალგაზდა მცოდნეს მუსიკისას, რომ გაუადვილოს მას ხალხური საუკეთესო სასიმღერო ხმების ფონოგრაფზე გადაღება.

✦ როგორც სჩანს კავკასიის ოლქის მზრუნველის ახლად გამოცემულის ანგარიშიდან, 1900 წელს კავკასიაში ყოფილა სულ 1902 სხვა და სხვა გვარი სასწავლებელი. მათგან: ა) საშუალო სასწავლებლები: სავაჟო გიმნაზია—12, სავაჟო პროგიმნაზია—1, რეალური სასწავლებელი—10, საქალებო გიმნაზია—14, წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელი—3, საქალებო პროგიმნაზია—7, სამასწავლებლო ინსტიტუტი—1, და სამასწავლებლო სემინარია—4, სულ საშუალო სასწავლებელთა რიცხვი—52, ბ) დაბალი სასწავლებლები: საქალაქო სასწავლებლები 1872 წლის დებულების ძალით—45, საქალებო სასწავლებლები—6, სამრეწველო სასწავლებლები—17 და სახელოსნო სასწავლებელი—4; სულ—72. გ) კერძო სასწავლებელთა რიცხვი ყოფილა საანგარიშო წელს—157, მათგან უმეტესი ქალაქებში; მაგალითად—ტფილისში—45, და ბაქოში—24. დ) პირველდაწყებითი სასწავლებლები ყოფილა 1621; მათგან სავაჟო—497, საქალებო—175 და დანარჩენი ორივე სქესისათვის. ყველა ამ სასწავლებელთაგან 1406-ში სწავლება მხოლოდ რუსულს ენაზე სწარმოებს, 215-ში—რუსულსა და სამშობლო ენებზე.

✦ ტფილისის პირველ გიმნაზიის ფრანგულის ენის მასწავლებელს ზდანოვიჩს განზრახვა აქვს მოაწყოს მოსწავლეთ ორი ექსკურსია; ერთი—პირველ ივლისიდან—ბათუმში, ჩაქვში, სოხუმში, ახალ ათონში და სოჩაში; ექსკურსია გაგრძელდება 10 დღე. მეორე—16 აგვისტოდან 26-ამდე—ქუთაისში, მოწამეთაში, გელათში, ნაქერალაზე და ნაქალაქევში.

✦ 23 ივნისს ტფ. სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის სესსია მიემგზავრება ქუთაისის გუბერნიაში სხვა და სხვა საქმეების განსახილველად.

✦ გუშინ, 15 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ქ. გორის მცხოვრების სანდრო ტუტუკაშვილისა, რომელსაც ბრალად ედებოდა ფიც ქვეშ ცრუ მოწმობა. ამ რამდენისამე ხნის წინად გორში მცხოვრებ მეზვრიშვილისათვის ვიღასაც მოუპარავს ერთი ჩერქეზული ჩოხა და ვერცხლის ქამარი; ქურდობაში ბრალი დასდებია მარიამ საბაშვილისას და სასამართლოში საქმის გარჩევის დროს სანდრო ტეტუკაშვილს უჩვენებია, ვითომც მას ენახოს საბაშვილისა, როცა მას თავის სახლში მოპარული ვერცხლის ქამარი და ჩოხა მიჰქონდა; საბაშვილისა გაუმართლებიათ, რადგანაც სრული მისი სიმართლე გამორკვეულა. ამ ცრუ მოწმობისათვის პასუხის გებაში მიუციათ ტეტუკაშვილი. გუშინ, საქმის გარჩევის დროს ტეტუკაშვილმა განაცხადა, რომ იმ დღეს, როდესაც ამ საქმის გამო სასამართლოში ჩვენება ჩამოართვეს, მთვრალი იყო და სრულებით არაფერი არ ახსოვს არც ფიცის და არც ფიცის საგნისა დ მხოლოდ მეორე დღეს შეატყობინეს, რომ ის ეთქვა, რაც არ უნახავს. ოლქის სასამართლომ გარდაუწყვიტა სანდრო ტეტუკაშვილს ყოველივე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლის ვადით გაგზავნა.

✦ ბაქოს ქალაქის მოურავი ატყობინებს კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამმართველ კომიტეტს, რომ, რადგანაც ბაქოს გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება შესახებ 5000 მ. გადადებისა მომავალ გამოფენისათვის, ამ დღეებში ფულიც გამოგეგზავნებათო.

✦ სიღნაღის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლი თავ. ნ. ანდრონიკაშვილი ატყობინებს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ საბჭოსთან დაარსებულ სასტატისტიკო ბიუროს კორესპონდენტობაზე თანხმობა განაცხადა სოფელ ვეჯინის მცხოვრებმა თავ. ზ. აბაშიძემ. თავ. ანდრონიკაშვილი ამასთანავე სწერს, რომ, როდესაც გავაცანი სიღნაღის მაზრის მცხოვრებთ მიზანი სასტატისტიკო ბიუროსი, სურვილი გამოსთქვეს, რომ ბიუროს კორესპონდენტებს უფასოთ გამოეგზავნოთ სამეტეოროლოგიო იარაღები და თუ ეს მოუხერხებელი იქნება, ყოველს შემთხვევაში კარგი იქნება, ბიურო ვგაცნობებდეს, თუ სად შეიძლება ასეთის იარაღების შეძენაო.

✦ გუშინ, 15 ივნისს, ქალაქის წყლის მილის გამგე ტეხნიკოსმა ბ-ნმა გ. ზ. ქურდიანმა შემდეგი მოხსენება წარუდგინა განსახილველად ქალაქის გამგეობას: კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენისათვის წყლის გასაყვანად საჭიროა ორის მხრით გაუკეთდეს მილები, ერთი მუშტაიდის ქუჩის მოსახვევიდან და მეორე—ელისაბედის ქუჩიდან; ამ მილების გაკეთება დაჯდება სულ 300 მანეთი; შემდეგ თავის მოხსენებაში ბ-ნი ქურდიანი ამბობს, რომ რაგანაც გამოფენის კომისარის თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის განცხადებით გამოფენის გამმართველ კომიტეტს მცირე თანხა აქვს, ამიტომ საჭიროა გამოფენას უფასოდ დაეთმოს წყალი, ხოლო კომიტეტს გადახდევინოთ მილების გაკეთების ფასი და ზარალიც, რამდენსაც ქალაქი ნახავს, თუ ეს მილები შემდეგ გამოუსადეგარი შეიქნენო.

✦ ოთხშაბათს, 13 ივნისს, სხდომა ჰქონდა კავკასიის გამოფენის გამგე-კომიტეტს, რომელმაც ამოირჩია კომისიის წევრებად შემდეგი პირები: ბ-ნი ა. ქალანთარი, გ. შადინოვი, ბ-ნი კუჩენბახი, ბ. მელიქ-შახნაზარიანცი, დ. ანტროპოვი, პ. ვალტერი, მკურნალი ქალი რუდენკო და მათ თავმჯდომარედ ბ-ნი შიმანოვსკი; ამ კომისიას მიენდო მოილაპარაკოს, თუ როგორ მოეწყოს გამოფენაზე წვრილ შინაურ პარუტყვებისა და ფრინველების გამოფენის საქმე. კომისიას ამ საგნის განსახილველად სხდომა ექნება 21 ივნისს.

✦ ქალაქის მიწის-მზომელ ლარიონოვის გამოკვლევით, ქალაქის სამოვარ მიწების საუკეთესო ნაწილი, 800 დესიატინამდე, უკავია საეხლოო უწყებას, სასაფლაოებს და სანერგეებს. ის, რაც ეხლა ქალაქის ხელშია, ზომით არის 3110 დესეტინა, მაგრამ ეს ადგილები ნაკლებ ფასიანია და შემოსავალიც ცოტა მოაქვს.

✦ გუშინ სხდომა ჰქონდა სასანიტარო საქმეთა საბჭოს, რომელზედაც განიხილეს მომავალ-წლის ხარჯთ-აღრიცხვის ნაწილი. სხვათა შორის, განზრახვა აქვთ ჯამაგირები მოუმატონ ქალაქის ფერშლებს.

✦ დღეს ტრამვაის კომისია, ქალაქის ტეხნიკები და უსახელო საზოგადოების დირექტორები დაათვალიერებენ ტრამვაის ლიანდაგს.

✦ ქალაქის მეორე საპოლიციო ნაწილის პოლიციელებისთვის დაურიგებიათ პატარა წიგნაკები, სადაც ნაჩვენებია უბნის ყველა მცხოვრებლების ადრესები, ასე, რომ ეხლა ამ ნაწილში ყველას შეუძლია მიჰმართოს პოლიციელს ამ გვარ ცნობების გასაგებად.

✦ გუშინწინ ფოტოგრაფ ერმაკოვის სადგომიდან მოუპარავთ ხალიჩები და სხვა ნივთები, სულ 80 მენეთის საღირალი.

✦ ზ. ზუბალაშვილის სახლის კარებთან უპოვნიათ მიგდებული ბავშვი, რომელიც ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

პრესსა

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ საშუალო სკოლის რეფორმის შესამუშავებლად დანიშნულმა საგანგებო კომისიამ დაასრულა თვისი მოქმედება. გაზეთები, მოჰყავთ-რა ეს ცნობა, სიამოვნებით აღნიშნავენ კომისიის მოღვაწეობას და გამოსთქვამენ სხვა და სხვა სურვილსა და მოსაზრებათ. სხვათა-შორის, გაზ: «რუს. ვედომ.»-ი ამბობს:

> საზოგადოება დიდის ყურადღებითა და ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს კომისიის პირველ-დაწყებით მუშაობას, რადგანაც იცის, რომ იქ უნდა გადასწყდეს ბედი მოზარდ თაობისა, რომელიც მეტად იტანჯება სწავლა-განათლების ახლანდელ ურიგო სისტემის გამო. საზოგადოება იმედით შეჰყურებს კომისიას და სწამს, რომ ის შეჰქმნის ისეთს სისტემას, რომელსაც შეეძლება გაუადვილოს ქვეყანას განვითარების გზაზე სვლა. მაგრამ ყოველს ეჭვს გარეშეა ის გარემოებაც, რომ სწავლა-განათლების რეფორმის საქმე მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს სრულად, როდესაც მისი აღმასრულებელი მარტო ბიუროკრატია-კი არ იქნება, არამედ საზოგადოებაც. საჭიროა, საზოგადოების წარმომადგენლებმაც მიიღონ მონაწილეობა რეფორმის საქმეში; საჭიროა, აგრეთვე, რომ კომისიის პროექტი, სანამ დამტკიცდებოდეს, გაეგზავნოს განსახილველად საერობო, საქალაქო და სხვა დაწესებულებათ და დაიბეჭდოს პრესსის საყურადღებოდ.

⁂

გაზ. „როსსია“ გაკვირვებულია იმ სისწრაფით, რომლითაც კომისიამ აღასრულა თვისი საქმე. მაგრამ გაზეთს იმედი აქვს, რომ ეს სისწრაფე ვერაფერს ავნებდა კომისიის მოღვაწეობას. რასაკვირველია, ადვილად შესაძლებელია, რომ კომისიას მოუვიდა ესა თუ ის შეცდომა,

> მაგრამ უნდა გავიხსენიოთ, რომ ის კომისიები, რომელნიც წლობით და ათ-წლობით მუშაობდნენ, ადგენდნენ სრულიად უმგზავსო პროექტებს; ეს კომისიები უმეტეს შემთხვევაში საზოგადოების და დროს მოთხოვნილებათა წინააღმდეგ მუშაობდნენ; საშუალო სკოლის რეფორმის კომისიამ-კი საგნად დაისახა—აღასრულოს საზოგადოების დიდი-ხნის მოთხოვნა და ღაღადი და დროს შესაფერისად შესცვალოს სწავლა-განათლების სისტემა. აი, ეს საგანი და მიმართულება თავმდებნი არიან, რომ კომისიას არავითარი თვალ-საჩინო შეცდომა არ მოუვა; მით უმეტეს, რომ საერო განათლების მინისტრს, პ. ს. ვანოვსკის, განზრახვა აქვს საზოგადო დაწესებულებათა და ჟურნალ-გაზეთებსაც მისცეს შეძლება კომისიის პროექტის დაწვრილებით განხილვა-დაფასებისა.

საზოგადოდ, გაზეთები ეხლაც, როგორც საქმის დასაწყისში, სავსენი არიან იმედებით: მათ სწამთ, რომ ახლო მომავალში ბედი გაუღიმებს რუსეთის საშუალო სკოლას.

მცირე კრედიტის დაწესებულებათა დებულება

დაპირებისამებრ *), მოგვყავს აქ თითქმის სრულიად 1895 წლის კანონი მცირე კრედიტის დაწესებულებათა შესახებ.

1. ეს დებულება შეეხება მცირე კრედიტის შემდეგ დაწესებულებათ: ა) საკრედიტო ამხანაგობათ; ბ) შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათ და კასსებს, და გ) სასოფლო ბანკებსა და ან კასსებს.

2. მცირე კრედიტის დაწესებულებათ საგნად აქვთ შეაძლებინონ მცირე შეძლების პირთ, სასოფლო საზოგადოებათ, აგრეთვე ამხანაგობათ და სხვაგვარ საზოგადოებათ, რომელნიც მოქმედებენ თანახმად დამტკიცებულის წესდებისა ან ხელშეკრულობისა: ა) მიღება შეღავათიანის პირობით სესხისათვის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და ბ) ფულის შენახვა სარგებლის მოსამატებლად.

3. მცირე კრედიტის დაწესებულებათა სამაგალითო წესდებას ამტკიცებს ფინანსთა მინისტრი, შინაგან საქმეთა და მიწადმოქმედების მინისტრებთან შეთანხმებით. თითოეულ კერძო დაწესებულების წესდებას ამტკიცებს და აგრეთვე წესდების მუხლების შეცვლის ნებას აძლევს ფინანსთა მინისტრი.

4. მცირე კრედიტის დაწესებულებათ შეუძლიანთ მიიღონ შემოწირულებანი, შეიძინონ მოძრავი ქონება, პირობებით შეეკრან სხვა პირთა და დაწესებულებათ, პასუხი აგონ სასამართლოში და სხვაც მისცენ პასუხის გებაში. უძრავ ქონების შეძენა ამ დაწესებულებათ შეუძლიანთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომელნიც კანონებში ან წესდებებშია აღნიშნულნი.

5 საკრედიტო ამხანაგობა (პუნკტია პირველის მუხლისა) არსდება თანხით, რომელსაც სესხად მისცემს ხაზინა, ან სახელმწიფო ბანკი, თუ ამხანაგობის ყველა წევრები იკისრებენ ერთმანეთისათვის პასუხის გებას. ამგვარ ამხანაგობის დაარსება შეიძლება აგრეთვე ერობის, საზოგადო ან კერძო დაწესებულების, ან კერძო პირების მიერ შემოწირულის ან მათგან ნასესხების თანხით.

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 1495.

6. შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა ან კასსა (პუნქტი ბ 1-ლი მუხლისა) არსდება ამხანაგობის წევრთა ფულით (პაი), რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ამ ფულებს (საწევრო შემოსატანს) შეიძლება მიემატოს ერობის, საზოგადო ან კერძო დაწესებულების, ან კერძო პირის შემოწირულებინი ან მათგანვე აღებული სესხი.

7. სასოფლო ბანკი და კასსა (პუნქტი გ. 1-ლის მუხ.) არსდება იმ ფულით, რომელსაც ამ საგნისთვის გადასდებს სასოფლო საზოგადოება და აგრეთვე იმ ფულით, რომელსაც შესწირავენ ან ასესხებენ ხაზინა, საზოგადო ან კერძრო დაწესებულება, ან კერძო პირი.

8. იმ კერძო პირს, რომელიც მცირე კრედიტის დაწესებულების გასახსნელად, ან მის საშუალებათა გასაძლიერებლად შესწირავს, ან შეღავათიანის პირობით ასესხებს ფულს, შეიძლება მიეცეს შემდეგი უპირატესობანი: ა) არჩეულ იქმნას იმ დაწესებულების მზრუნველად; ამ შემთხვევაში მზრუნველს ნება აქვს დრო გამოშვებით მოსთხოვოს დაწესებულებას ცნობები მის მოქმედების შესახებ; ბ) მიეცეს ნება დაწესებულების საქმეებისა და ანგარიშების რევიზიისა და გ) დაერქვას დაწესებულებას შემომწირველის გვარი ან სახელი.

ერობას, საზოგადო ან კერძო დაწესებულებას, რომელიც შესწირავს ან შეღავათიანის პირობით ასესხებს ფულს, შეუძლიან დაუნიშნოს დაწესებულებას მზრუნველი, რომელსაც აგრეთვე ექნება ნება დაწესებულების რევიზიისა და მისგან საჭირო ცნობების მიღებისა.

9. საკრედიტო ამხანაგობის წევრნი და მონაწილენი და აგრეთვე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა ან კასსის მონაწილენი და წევრნი პასუხს აგებენ ურთიერთ თავდებობით; პასუხის გების რაოდენობა განისაზღვრება წესდებით. სასოფლო ბანკების ან კასსების პასუხის გება უზრუნველყოფილი უნდა იქმნას ან სოფლის საზოგადოების მიერ აღებულის მოვალეობით, ან სოფლის საზოგადოების წევრთა ურთიერთ თავდებობით, რომელიც უნდა დამტკიცდეს სოფლის საზოგადოების დადგენილებით.

10. ისინი, ვინც პასუხს აგებენ საკრედიტო ამხანაგობის, შემნახველ-გამსესხებელ კასსის ან სასოფლო ბანკის მოვალეობათა გამო, მონაწილეობას იღებენ ამხანაგობის ან კასსის საქმეთა მართვაში. ამ მონაწილეობის წეს-რიგს განმარტავს წესდება.

11. ის პირნი, რომელნიც უკვე არიან რომელიმე საკრედიტო ამხანაგობის ან შემნახველ-გამსესხებელის კასსის წევრებად, აღარ მიიღებიან იმავე დროს მეორე ამ გვარისავე დაწესებულების წევრებად.

12. შემნახველ-გამსესხებელ კასსის ან ამხანაგობის თითოეულს წევრს შეუძლიან იქონიოს არა უმეტეს ერთის პაისა. პაის ღირებულობა არ უნდა აღემატებოდეს ას (100) მანათს. პაის დაგირავება ან პაის სხვისთვის გადაცემა აღკრძალულია, სულ ერთია, წევრი იქნება ეს, მეორე პირი თუ გარეშე ვინმე.

13. მცირე კრედიტის დაწესებულებათ უფლება ეძლევათ მოახდინონ შემდეგი ოპერაციები: ა) ფულის მიღება შესანახად; ბ) სესხის მოხდენა და გ) მოკლე ვადიანის (უგრძელესი ვადა 12 თვეა) სესხის გაცემა ამხანაგობის ან კასის წევრებზედ ან იმ სასოფლო საზოგადოების წევრებზე, სადაც ბანკია დაარსებული; სესხი გაიცემა ან პირადის ნდობის მიხედვით, ან სხვის თავდებობით. გარდა ამისა, ამ გვარ წესდებას (მუხ. 3 შეუძლია შემდეგის ოპერაციების ნება მისცეს ამ გვარ დაწესებულებათ: დ) გასცეს გრძელ ვადიანი (5 წლით) სესხი იმ თანხიდან, რომელიც შესდგება გრძელის ვადით შესანახად შემოტანილ ფულიდან, გრძელის ვადით აღებულ სესხიდან და აგრეთვე ბანკის საკუთარ კაპიტალებიდან; ამ შემთხვევაშიაც სესხი გაიცემა ან პირადის ნდობის მიხედვით, ან სხვის თავდებობით. ე) გასცეს ეგეთივე სესხი ამავე თანხებიდან მსესხებლის უძრავ ქონების გირაოს ქვეშ; ვ) გასცეს სესხი ზემოხსენებულ პირებზე, არა უგრძელესს 12 თვის ვადისა, სამეურნეო სახელოსნო საოჯახო მრეწველობის ნაწარმოებთ და სხვა საგნების გირაოს ქვეშ და ზ) იშუამდგომლოს იმ საგნების ყიდვის საქმეში, რომელიც საჭიროა აღნიშნულ პირების მეურნეობისათვის და იმავე პირების ნაშრომის გაყიდვაშიაც.

შენიშვნა. როგორც მოკლე ვადიანის სესხის გადახდა, ისე გრძელ-ვადიანისაც შეიძლება გადაიდოს მეორე ვადისათვის იმ წესითა და იმ ვადით, რომელიც ნაჩვენებია წესდებაში (მუხ. 3).

14. მცირე კრედიტის დაწესებულებათ უფლება აქვთ დაუტოვონ მსესხებელს მოსახმარებლად მისგან გირაოთ მიღებული მოძრავი ქონება; მხოლოდ ორის მოწმის თანადასწრებით უნდა შესდგეს აწერილობა აღნიშნულ საქონლისა და ამ უკანასკნელს უნდა ჰქონდეს რაიმე ნიშანი თავის გირაოდ ყოფნისა (ბეჭედი, პლომბა ან სხვა რაიმე ნიშანი), თუ ამას შესაძლებლად ჰყოფს თვით საქონლის თვისება. თუ საქონელს არ ექნა ამგვარი ნიშანი, სესხის გამცემ დაწესებულებას არ ექმნება უპირატესი უფლება მაზე (საქონელზე). დაგირავებულ საქონლის გაყიდვა ვალის მყიდველზე გადატანით შეიძლება მხოლოდ სესხის გამცემ დაწესებულების ნება-რთვით. გირაოს გადამალვისათვის, ან ვალის გასტუმრებამდე გაყიდვისათვის სესხის გამცემ საკრედიტო დაწესებულების ნება-დაურთველად მსესხებელი პასუხს აგებს, როგორც მობარებულ ქონების გამფლანგველი (მუხ. 1681 და 1682 სასჯელთა დებულებისა და 177 მუხ. სასჯელ. წესდებისა, გამოც. 1885 წ.)

(შემდეგი იქნება)

პროვინცია

დ. ჭიათურა. შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭომ დ. ჭიათურაში დააარსა სახალხო თეატრი, რომელიც ოფიციალურად დაიწყებს მოქმედებას ამ თვისს ოცდა ოთხი რიცხვიდან.

ამ თეატრში წარმოდგენების გასამართავად, როგორც გვესმის, მოხსენებულ საბჭოს მოუპატიჟნია ქუთაისის სახალხო თეატრის კომისსია, რომლისთვისაც მას დაუნიშნავს გარდაწყვეტილი ჯილდო.

თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ხალხისთვის ამ თეატრს, ამის თაობაზე არას ვიტყვი, რადგანაც ეს ყველამ კარგათ იცის.—მე მხოლოდ მინდა მივაქციო ყურადღება ერთ გარემოებას, რომელსაც საქმის წარმატებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩემის შეხედულებით.

მართალია, ქუთაისის სახალხო თეატრის კომისსის მოპატიჟება ძრიელ სასიამოვნოა, მაგრამ მარტო ამ საშუალებით აქ საქმის მტკიცე ნიადაგზე დამყარება ყოვლად მოუხერხებელია, რადგანაც ხსენებულ კომისსიას არ ძალუძს ჭიათურაში იყოლიოს მუდმივი დასი. ამისათვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს აქვე დაარსდეს თეატრალური კომიტეტი და მასთან ადგილობრივ წრეც სცენის მოყვარეთა.

გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ექნება საქმისთვის საბჭო რომ მოიწვევდეს ჭიათურაში საცხოვრებლად ჩვენ არტისტ-მომღერალს ფ. ქორიძეს, იმ მიზნით, რომ მან აქ შეადგინოს მომღერალთა და მგალობელთ გუნდი და კვირაობით იაფი სახალხო და სასულიერო კონცერტები გამართოს და მასთან ხალხში განავრცელოს მისგან შეკრებილი და ნოტებზე გადაღებული ხალხური სიმღერები და საეკლესიო გალობა.

რასაც საბჭო ქორიძეს შრომის ჯილდოს დაუნიშნავს, ეს ხარჯი ორკეცად დაიფარება გამართული კონცერტების შემოსავლით, ამასთანავე ბ. ქორიძეს შეუძლია შეადგინოს მომავალ ეკკლესიისთვის მგალობელთა გუნდი.

ერთის სიტყვით, თეატრალურის კომიტეტის აქ დაარსებით და ქორიძის მოპატიჟებით საბჭო ერთი-ორად გააფართოებს და გაამშვენიერებს მისგან დაარსებულ სახალხო თეატრის პროგრამას და მიზანს.

ალ. გამრეკელი.

საღამოს დეპეშები

პეტერბურგი, 15 იანვარი.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

სატახტო ქალაქის ყველა გაზეთებს აეხსნა უკანასკნელ დროის „გაფრთხილებანი“.

ბეჭდვითი სიტყვის უმთავრესმა სამმართველომ განკარგულება მოახდინა საცენზურო წესდების გადასინჯვის შესახებ.

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

15 ივნისი.

პეტერბურგი. პეკინში მყოფს ელჩს გირსს უმაღლესად ებრძანა იქმნეს ბავარიის ელჩად. დაინიშნენ: ორლოვის გუბერნატორი ტრუბნიკოვი დედოფალ მარიამის დაწესებულებათა სამზრუნველოს საპატიო მზრუნველად; კავკასიის გზათა უწყების უფროსი ფლორინი—იალტის ნავთ-სადგურის მოწყობის გამგედ; წყალთა მიმოსვლისა, შოსეთა, ნავთ-სადგურებისა და აგრეთვე სავაჭრო ნავთ-სადგურების უფროსი ინსპექტორი გუნევიჩი—კავკასიის გზათა უწყების გამგის თანამდებობის აღმასრულებლად; ბავარიის ელჩი ბარონ როზენი—საბერძნეთის ელჩად.

13 ივნისის ბიულეტენი: „დიდი მთავრინა მარიამ გიორგის ასული და აგრეთვე ახლად დაბადებული სრულიად კარგად იმყოფებიან“. დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის შესახებ ბიულეტენები აღარ იქნება.

ბუხარესტი. დეპუტატთა პალატის საგანგებო კრება გაიხსნა. მეფის ეპისტოლეში აღნიშნულია რამდენიმე საკითხი საზოგადო განათლების, კანონ-მდებლობისა და აგრეთვე ავსტრ-ჰუნგრეთთან დამნაშავეთა გაცემის ხელშეკრულობის შესახებ.

ასტრახანი. ბირჟაზე ხმა გავრცელდა, რომ ქალაქ ცარიცინში ძალიან დიდი ცეცხლი გაჩენილა. იწვის ხე-ტყის საწყობი, ხე-ტყის ნავთ-სადგურები, სახერხავები და ქალაქის გარეთ უბნები. ზარალი მილიონს აღემატება. ფიქრობენ, ცეცხლი განზრახ არის გაჩენილი.

ოდესსა. ტიბეტის ელჩებმა დღეს დაათვალიერეს ქალაქის დაწესებულებანი და დაესწრნენ პარაკლისს, რომელიც გარდაიხადეს სულით ავადმყოფ ინტელიგენტთა თავშესაფარ სახლის კურთხევის გამო. ელჩები ხვალ პეტერბურგს მიდიან.

მოსკოვი. მოსკოვის ახლოს, რკინის გზაზე, საქონლის მატარებელს შეახტა სამი ბოროტ-განმზრახველი და დაბეჭდილი ვაგონის გატეხა უნდოდათ. მატარებლის მოსამსახურეებმა მატარებელი შეაჩერეს და ბოროტ-განმზრახველთ დასაჭერად გამოუდგნენ, მაგრამ იმათ რევოლვერების სროლა დაიწყეს. არავინ არ დაჭრილა; მძარცველები გაიქცნენ.

ხარკოვი. სავაჭრო ბანკმა გაკოტრებულად გამოაცხადა თავისი თავი და ოლქის სასამართლოსაც ქაღალდით აცნობა ეს გარემოება.

ნიუ-იორკი. რუსეთის ელჩი გრაფ კასსინი დღეს ევროპისაკენ გაემგზავრა. „კომერშიელ ედვერტიზერ“-ის წარმომადგენელს აცნობა, რომ ტარიფის შესახებ უთანხმოება ამერიკელებისაგან წარმოსდგებაო. გრაფ კასსინმა ამას ისიც დაუმატა, რომ თუ ორ სახელმწიფოთა შორის „სადამოკნო“ ომი ასტყდა, ეს შეერთებულ შტატებს აზარალებს და არა რუსეთსო. კორესპონდენტი იმასაც აცხადებს, რომ გრაფ კასსინი, ვითარცა დიპლომატი, კიდევ იმედით შეჰყურებს ამ საქმეს. ნიუ-იორკში ყველა იმ აზრისაა, რომ მინისტრ გეჯის წყალობით, შეერთებულ შტატები უსარგებლო და ძვირად ღირებულ დავაში ჩათრეულია და, როგორც გრ. კასსინი ამბობს, ამერიკა ბევრს იზარალებს და ვერას მოიგებსო.

კონსტანტინეპოლი. ევროპის-ოსმალეთის მხარეს უმეტესი ნაწილი მოსავლისა სრულებით გაანადგურა გამუდმებულმა სეტყვამ. სმირნის ვილაეტში ნახევარზე მეტი მოსავალი დაზარალდა, განსაკუთრებით ყურძნისა. ანატოლიის დანარჩენ ადგილებში, სადაც კარგ მოსავალს მოელოდნენ, სეტყვამ თუმცა ნაკლებად წაახდინა მოსავალი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში აქაც საგრძნობელი ზარალი მოიტანა.

ბეირუთი. ამბობენ, დამასკში მყოფნი მოხელენი, რომელნიც ოსმალეთის წარჩინებულს გვარიშვილებს ეკუთვნიან, დაუმეზღებიათ და ამიტომ მთავრობას ბრძანება გამოუცია, რომ ისინი დაპატიმრებულ იქმნან. ერთი მათგანი დაპატიმრებულია დამასკში, ორმა კი თავი შეაფარა რუსეთის საკონსულოს. რუსეთის კონსული ამ დროს იქ არ იყო და როცა მოვიდა, გუბერნატორს განუცხადა, რომ ორსავე მოხელეს ჩაგაბარებთ, როგორც კი კონსტანტინეპოლში მყოფ რუსეთის საელჩოსაგან ამის შესახებ ბრძანებას მივიღებო.

რედაქტორი ალ. ჭყონია.

გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

პეტერბურგის ბირჟა 12 ივნისს.

4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	96 გამყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	373 მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	301 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	219 „
$3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	$88^5/_8$ გაყიდ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$92^1/_4$ „
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკი 5% გირავნ. ფურცლ	—
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	$86^3/_4$ „
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

განცხადებანი

ეტიუდები თ. ხუსკივაძისა ისყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. ვისაც სურს, რომ დაკლებულ ფასად იყიდოს, მან უნდა მოგვმართოს ჩვენ, გამომცემელს ამ ადრესით: Квирилы Ивану Ардишвили. (10—3)

მთა-წმიდაში, ვეძინის ქუჩაზე № 6 ვყიდი ორ-სართულიან სახლს, მიწა ზომით $35^1/_2$ კვად. საჟენი, ბანკის ვალია 2200 მან. ფასის და პირობების შესატყობათ მსურველმა მიჰმართოს იქვე—მეწვრიმალეს. (2—2)

ცარტიუფი ანუ მუზმუზელა 5 მოქმ. კომედია მოლიერისა, ფასი 50 კ. იყიდება წიგნ. გამომ. ქართ. ამხ. კანტორაში, ლორის-მელიქოვის ქ. ალექსანდროვის ბაღის კუთხეში.

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

Дозволено цензурою Тифлисъ, 15 Іюня 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა ქართველთა ამხანაგობისა.